№ 2635
კვირა,
10 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2635
კვირა,
10 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამ ტებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვ რდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცელისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ორშაბათს, 18 ოქტომბერს **სოფელ ძველ გავაზის** ღვთის-მშობლის ეკკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ტიურენჩენის ბრძოლაში მოკლულის მე-12 ციმბირის მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკის

თ. ალექსანდრე დიმიტრის ძის ვახვახიშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა და მამა კნ. **თამარა ალექსანდრეს ასული და დიმიტრის ზაალის-ძე ვახვახიშვილები—შვილებით და ბებია კნ. თინათინ ივანეს ასული აფხაზი.** (2—3899—1).

ქართული თეატრის განცხადება:

ქართულ წარმოდგენების გამგე ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დამდეგ სეზონში ქართული წარმოდგენები გაიმართება ტფილისის სახაზინო თეატრში ყოველ ოთხშაბათობით და „საკრებულო დარბაზში" („სობრანიე") კვირაობით.

დასი:

მსახიობნი ქალნი: ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. მესხი, ნ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილისა, ნ. ჩხეიძე; მსახიობნი კაცნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ალ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, ვ. შალიკაშვილი, გ. გედევანოვი, ი. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ნ. სარჯველაძე, ა. წუწუნავა; მორიგი რეჟისორები: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, რეჟისორის თანაშემწე—გ. იორდანაშვილი, სუფლიორი ბ. ბეგლარიძე.

განზრახულია წარმოსადგენად შემდეგი პიესები:

შექსპირი—„იულიოს კეისარი", მოლიერი—„კრიჟანგი", შილლერი—„ორლეანელი ქალი", ევრიპიდე—„მედეა", იბსენი—„საზოგადოების ბურჯნი", „მოჩვენებანი", „ხალხის მტერი", ჰაუპტმანი—„როზა ბერნდ", „მზის ამოსვლამდის", „სულით ობოლნი". ზუდერმანი—„მამული" (მაგდა), „ფრიცხენ", ბარიეტი—„ახალი მოძღვრება", ჯიოკომეტი—„ივდითი", თერარი—„მებრძოლი აზრისათვის", მეტერლინკი—„ბრმანი", „სულის საიდუმლონი", „M-lle ფიფი", შნიტცლერი—„მწვანე თუთიყუში", დრეიერი—„მასწავლებელი", ფილიპპი—„კაცობრიობის კეთილის მყოფელნი", ბრიე—„მსაჯულნი" (წითელი მანტია), სუმბათაშვილი—„ღალატი", დ. ერისთავი—„სამშობლო", არაგვისპირელი—„შიო თავადი", აზიანი—„სამშობლოს ბურჯნი", რამიშვილი—„მეზობლები", გ. ერისთავი—„ყვარყვარე ათაბაგი", ევდოშვილი—„ჭრელ სუფრაზე", გუნია—„ნაოხარზე", ნახუცრიშვილი—„ოჯახის ბურჯნი"; აგრეთვე ცნობილი ძველი პიესები.

(1—6.—1) დირექცია ამხანაგობისა.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას, 10 ოქტომბერს 1904 წელს

წარმოდგენილი იქნება **„ევგენი ონეგინი"** ოპერა 3 მოქ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტოლლერი, ბუნაკოვა, შიხუცკაია, ხაჩატუროვა; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, გალეცკი, დემიანენკო და მურატოვი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

გამგე ი. ა. კელლერი.

ორშაბათს, 11 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მერვე კლასის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „დუბროვსკი".

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილთათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემის ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანე ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(ვ. 1—13) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „Накадули"

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დოქტ.:

ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$— $/_2$ ს.

ტ. მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.

ი. კიმონტი.—ხირურგია $11^1/_2$—$12^1/_2$ კვირით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$— $/_2$ საათამდე.

ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა მკურნალობა ელექტრონით 12—1 ს.

ქალი ე. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბვებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვ. ა. ზილინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. შ. მოლინი.—ქალისა, საბვებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

შ. ა. [illegible].—ხირურგია და ორტოპედია: ოთხშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 8 საათამდე.

საღამოთ:

ა. მ. [illegible].—ხირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ორი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მორიგებათ. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] ძველი სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. ბიჭვინთის ქუჩიდან-კი 34 ბ. ტელეფონი № 274.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—6—21)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობს ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ქ. ნ. თითრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუდებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—12)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
დაბრუნდა და განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, № 30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—30)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—12)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელიზაბედის ქ., № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-ზისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-დის.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—2)

კახეთის მევენახეთა საზოგადოების
„კახეთი"-ს
გამგეობას პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1904 წ. 20 ოქტომბერს დანიშნულია მეორე საგანგებო საზოგადო კრება წევრთა თელავში, დილის 10 საათზე.

ეს კრება, როგორც მეორე, თანხმად წესდებისა, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

კრებამ უნდა განიხილოს: ახალ განყოფილების გახსნა, წესდების §§ 4 და 5 განმარტება, ორი სარევიზიო წევრის არჩევანი. (3—2)

სარტისტო საზოგადოების შენობაში პირველ-ხარისხოვანი რესტორანი
«ანონა»
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე უკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დღისით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
ს.სტუმროს პატრონი ი. ტ. ბონდარენკო.
(7—346—1)

ბათომში კბილის ექიმნი:
მიხაილ მალაქიას-ძე მენაღარიშვილი და ეინა ნიკოლოზის ასული მენაღარიშვილისა
გადავიდნენ:
შეპელევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის პირდაპირ ლაზარევის კუთხის სახლებში ნურიაში.
გახსნილი არის ორი განკერძოებული კბილის საექიმო კაბინეთი.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9 საათ. 2 საათამდის და საღამოს 4 ს-დან 8 ს-დის. კვირა დღეობით კი 9 საათ. 12 საათ., საღამოობით 5 საათ. 8 საათამდის.

შეგირდებს, მუშებს, მოსამსახურეებს და აგრეთვე ყველა მსურველთ შეღავათიანის სასყიდელით: 50% დაკლებით ჩვეულებრივ ფასებზე. (0—3819—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 ოქტომბერი

ტოკიო, 7 ოქტომბერი („რეიტერი"). იაპონიის ჯარის მთავარ სადგომიდან მიღებულ იქმნა 5 ოქტომბერს გამოგზავნილი დეპეშა. როგორც ამ დეპეშიდანა სჩანს, ოკუს არმიის რაზმმა იერიში მიიტანა რუსის კავალერიაზე, რომელსაც ტუნძიარა ეჭირა, და განდევნა იქიდან. მაგრამ მერე რუსის ქვეითა ჯარის პატარა რაზმმა უკანვე დაიბრუნა პოზიცია. რუსები იჭერენ ვაიტაოჩანს. 6 ოქტომბერს დილით კაოპუანჩაიას მახლობლად, იაპონიის ჯარის მარჯვენა ფრთეზე, შენიშნეს რუსის ორი ბატალიონი. ფიქრობენ, რომ ამ ბატალიონებს ზურგის ჯარი მოსდევს. 6 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ნოძუს არმიის მარჯვენა ფრთემ შენიშნა რუსის ორი ბატალიონი და ორი ბატარეია, რომელნიც ტუნძოფიდან ტატიჩანში მიდიოდნენ. ფინდიაპუს მახლობლად შენიშნულ იქნა რუსის ერთი ბრიგადა. ამ ადგილის ჩრდილოეთით რუსის ბატარეებია, საიდანაც დროგამოშვებით ყუმბარებს ესვრიან იაპონიის პოზიციებს. არავითარი ცვლილება არ მომხდარა არც მარცხენა რაზმსა და არც ნოძუს არმიის წინ. ოკუს არმიის წინ სიწყნარეა, თუმცა რუსები ღამე ხან და ხან ყუმბარებს უშენენ იაპონიის პოზიციებს. 5 ოქტომბერს რუსებმა იერიში მიიტანეს მარცხენა რაზმზე, მაგრამ უკუ-გდებულ იქმნენ.

ვაშინგტონი, 7 ოქტომბერი („რეიტერი"). სახელმწიფო დეპარტამენტმა გადასცა ამერიკის პეტერბურგელ რწმუნებულს რუსის მთავრობისთვის გადასაცემად იაპონიის პროტესტი რუსის ჯარის მიერ ჩინურ ტანისამოსის ხმარების შესახებ. აქ ფიქრობენ, რომ ჯარი ჩინურ ტანისამოსს მტრის მოსატყუებლად არ იცვამს: სიცივეები დადგა, რუსის ჯარს თბილი ტანისამოსი არა აქვს და იმიტომ იცვამენ ჩინურ ტანისამოს; ამის გამო რუსები თავიანთ საქციელით არღვევენ ომის წესების მხოლოდ ტეხნიკურ მხარესაო.

მუკდენი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის სამხედრო კორესპონდენტი გედკე იუწყება, რომ ამ ჟამად ჰრილობები უფრო საშიშარია, ვიდრე წინად იყოო. ერთის მხრივ მიზეზი ისაა, რომ იაპონელები ეხლა ძველი სისტემის თოფებს ხმარობენ და სალდათებს სქელი ტანისამოსი აცვიათო. გედკეს პორტ-არტურიდან კერძო ცნობები მოუვიდა იმის შესახებ, რომ ციხეში, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორი თვის სამყოფი საომარი მასალაა, სურსათი-კი ამაზე მეტი. იქ ფიქრადაც არავის მოსდის, რომ ციხეს როდისმე აიღებენ იაპონელებიო. კონდრატოვიჩის დივიზიამ გუშინ კიდევ ჩაიგდო ხელში იაპონელთა ზარბაზნები.

მოსკოვი. 8 ოქტომბერს მოვიდა მოსკოვში ლიაოიანიდან პოდპორუჩიკი არიოლი, რომელმაც შარშან დაასრულა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი. არიოლი ავგისტოში წამოვიდა პორტ-არტურიდან ნავით, რომელიც იაპონელთა ნაღმიანმა გემმა დაინახა, ყუმბარები დაუშინა და დალუპა ოთხი ჩინელით. არიოლმა ცურვით მიაღწია ნაპირს, შემდეგ გზის ერთი ნაწილი ფეხით გაიარა და ჩინურ ტანისამოსით მივიდა ლიაოიანს და გადასცა კუროპატკინს ამბავი ცინჯოუდან უკან დაწევის შესახებ. არიოლმა, გენერალის ფოკის ბრძანებით, ცეცხლი წაუკიდა რუსების მიერ თავ-მინებებულ თოფის წამლის საწყობებს და ხუთჯერ დაიჭრა. როცა არიოლმა პორტ-არტური დასტოვა, არა სამხედრო პირთა რიცხვი იქ მცირე იყო; ქალი ასზე მეტი არა ყოფილა. ყველა ქალი დაჭრილებს უვლიდა გენერალის სტესელის მეუღლესთან ერთად. ყუმბარები უკვე ქალაქში ცვემოდა. დაზიანებული იყო ნამესტნიკის სახლი, სამხედრო ეკკლესია და ოფიცერთა საეკონომო საზოგადოების შენობა. არიოლის სიტყვით, იაპონელებს ჯერ-ჯერობით არც ერთი შიდა სიმაგრე არ აუღიათ. წყლის მილის კოშკის აღებას მნიშვნელობა არა აქვს: ამ მილით მხოლოდ რკინის გზა სარგებლობდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 ოქტომბერი

ხუანშანი, 6 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს საღამოთი დაიწყო კოკისპირული წვიმა. ამასთან უბერავდა ძლიერი ქარი. გზები სრულიად წახდა, ასე რომ ობოზის გადატანა შეუძლებელი ხდება. პატარა ხევებიც-კი დიდ მდინარეებად გადაიქცა. როგორც ეტყობა, იაპონიის ჯარი დიდის ზარალის გამო ვერ არის კარგ გუნებაზე: 3 სექტემბერს ღამე იაპონიის ჯარის სხვა და სხვა ნაწილი ორჯელ დაფრთხა, სროლა ასტეხა და ამით ღამის სიმშვიდე დაარღვია. გუშინ უგზოობისა გამო სიწყნარე იყო, მხოლოდ ათასში ერთხელ არღვევდა სიჩუმეს აქა-იქ გასროლილი ზარბაზანი. დღეს დილით კარგი ამინდია. ხელ-ახლა ასტყდა ზარბაზნების სროლა. გზები ჯერ კიდევ გაუვალია, მაგრამ, როგორც ეტყობა, იაპონელები იწყებენ აქტიურ მოქმედებას მთელ ფრონტზე. წუხელ მზვერავთა რაზმმა, შტაბს-კაპიტნის ლემბოვსკის უფროსობით, უბრძოლველად ხელთ ჩაიგდო იაპონელთა სამი ზარბაზანი და საომარ მასალის ყუთები.

ბერლინი, 8 ოქტომბერი. როგორც ნიუ-იორკიდან იუწყებიან, იქ ამბავი მისულა, რომ გენერალი კუროკი დიზენტერიით არის ავად და იმის ჯანმრთელობა საშიშოაო.—„ბერლ. ტაგ."-ის კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე დეპეშით იუწყება, რომ ორი მოწინააღმდეგე, ერთნაირად მამაცი და ამტანი, საოცარის თავგამოდებით იბრძვის გამარჯვებისთვისაო. ომს ბოლო ჯერ არ უჩანს. 6 ოქტომბერს ორივე ჯარი ერთი მეორის წინააღმდეგ იდგა, თითქმის ძალა გამოლეული. 6 ოქტომბერს ღამე რუსებს უთუოდ უნდოდათ საერთო იერიში მიეტანათ იაპონელებზე, მაგრამ გზები და მინდვრები ძალიან ნელა შრება. გუშინ საღამოთი კიდევ წამოვიდა წვიმა; ღამე ყინვა იყო. ჰრილობები ეხლა უფრო საშიშოა, ვიდრე წინად, რადგან იაპონელებს ეხლა ძველ ყალიბის თოფები აქვთ და სპილენძის თავიან ტყვიებს ხმარობენ.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბრძოლა იანტაისთან და მდ. შახეზე. ფრანგულ გაზ. „ტან"-ის სამხედრო კორესპონდენტი 2 ოქტომბერს სწერს: დღე და ღამ ბრძოლაა. ზარბაზნის სროლა ხან და ხან შეღგებოდა ხოლმე ორიოდე საათით, მაგრამ თოფის ჭახა-ჭუხი ერთ წამსაც არ შემდგარა. მეტად საშინელი ზარბაზნის ჭექა-ქუხილი იდგა; კაცს ეგონებოდა, თითქო მთები და მიუვალი კლდეები ძირიანად დაიძრაო; დედამიწას ზანზარი გაჰქონდა. პარასკევს, 1 ოქტომბერს, რუსის არმიის მთავარ სადგომში ვიყავით; მეტად საშინელი, მრისხანე სურათი წარმოგვიდგა თვალ წინ. ამისთანა ამბავი ჯერ ისტორიაში არა ყოფილა. ბატარეები გორებიდან ზღვა ყუმბარას ისროდნენ; ძირს ველზე რუსის ჯარი ჭიანჭველასავით ფუფუნებდა და ჩრდილოეთისაკენ იხევდა. ყველაზე გამწვავებული ბრძოლა რუსის მარჯვენა ფრთეზე მოხდა. იქ ყუმბარისაგან მთელი სოფლები გადიბუგა. ზარბაზნის გრგვინვას ცის ელვა და ჭექაც დაერთო.

თითქო ზარბაზნის ქუხილს უნდა მისცეს ბანიო, შავად მოღრუბლულმა ცამ საშინელი გრგვინვა მორთო და კოკის პირული წვიმა დაუშო; არე მარე სულ დაბნელდა, ხან-და-ხან მხოლოდ ცა გაიელვებდა და ცოტას გაანათებდა ხოლმე ბრძოლის ველსა... 2 ოქტომბერს რუსის დასავლეთის რაზმმა (მარჯვენა ფრთემ) სადგური სეიტუნი (მუკდენს ახლო) მიატოვა. რუსის ჯარს უფრო დიდი ზარალი მოუვიდა, ვიდრე წინად ეგონათ. („რ. ლ.").

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: იაპონელებს ჯერ ცოტა ჯარი ჰყავდათ, მაგრამ ისეთ კარგ მოხერხებულ პოზიციებში გამაგრდნენ, რომ რუსის ჯარი აღმოსავლეთისაკენ აღარ გაუშვეს და ამ დროს უმთავრესი ჯარი დასავლეთისაკენ გაგზავნეს. ამ ხერხმა გასჭრა: იაპონელებმა გაიმარჯვეს და რუსის ჯარს უკან დაახევინეს. („რ. ლ.").

იტალიურ გაზ. „კორიერა დელლა სერა"-ს კორესპონდენტი სწერს: 26 სექტემბერს 4 რუსის დივიზია 180 ზარბაზნით გენ. კუროკის მარჯვენა ფრთეს დაეცა, დანარჩენმა ჯარმა გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებზე მიიტანა იერიში, რუსებს უნდოდათ გენ. კუროკი მოემწყვდიათ და იმისი არმია ორად გაეყოთ; კუროკიმ თავის უმთავრეს პოზიციაზე დაიხია, რუსები თან გაჰყვნენ და უფრო ძლიერ დაჰშორდნენ თავიანთ უმთავრეს არმიას. ამ დროს, გენ. ოკუ და ნოძუ რუსის უმთავრეს ჯარს დაეცნენ და ჩრდილოეთისაკენ მისწიეს. 4 დივიზია რუსის ჯარი (კუროკის რომ ებრძოდა) თითქმის მთლად მოსწყდა დანარჩენ ჯარს, კუროკი მაშინვე წინ გაქანდა, ამ 4 დივიზიაზე იერიში მიიტანა და უკან დაახევინა. („რ. ლ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი 28 და 29 სექტემბერს მომხდარ ბრძოლაზე შემდეგსა სწერს: რუსის ჯარი მეტად დიდ მანძილზე გაიფანტა, სამხრეთისაკენ გაემართა და სამს ადგილას შეებრძოლა იაპონელებს: იანტაის ჩრდილოეთით, ბენსიხუს ჩრდილოეთით და მდინარე ხუნხეს ახლო, ჩანტანთან. იაპონელებმა ყველგან სძლიეს რუსებს. ყველაზე მეტი ზარალი რუსის შუა ჯარს მოუვიდა. გენ. კუროპატკინმა იაპონელების მარჯვენა ფრთეზე (გენ. კუროკის არმიაზე) დიდის ჯარით—6 დივიზიით მიიტანა იერიში, მაგრამ ამ იერიშმაც ფუჭად ჩაიარა. ეჭვი არაა, ეს მარცხი სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ რუსის ჯარი ძველებურ წესზე, შეჯგუფულ რაზმებათ მიდის და მიაქვს იერიში. რუსის ჯარს მეტად გაუჭირდება გაშლილ განიერ მდინარე ხუნხეში გასვლა; ამ მდინარეზე მხოლოდ ორი ხიდია მუკდენს ახლო გადებული; ერთი რკინის გზის ხიდი, მეორე ძველი რკინის ხიდი; რუსებს სხვა ხიდების გამართვაც უნდოდათ, მაგრამ ვერ მოასწრეს. („ნ.").

„ბირჟევია ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი სწერს: 4 ოქტომბერს დილით მუკდენზე გამოიარა ერთის დივიზიის უფროსმა გენერალმა. გენერალი ბრძოლის დროს ფეხში დაეჭრათ და ეხლა ხარბინისაკენ მიდიოდა (ეს, ალბად, მე-6 დივიზიის უფროსი გენ. დანილოვი იქნება). გენერალმა გვიამბო: ჩემ დივიზიას მეტად მძიმე საქმე ჰქონდა დავალებული: იერიში უნდა მიგვეტანა გენ. კუროკის პოზიციებზე. ეს უმაგალითო იერიში იყო: სალდათები კლდიან, თითქმის ფრიალო გორებზე ბობღვით ავიდნენ. იაპონელები მაღლა იდგნენ, ტყვიას სეტყვასავით აყრიდნენ და 6 კაცში 5 კაცს ან ჰკლავდნენ, ან სჭრიდნენ. ციმბირის მე-23 პოლკის მე-6 როტა როგორც იყო დიდის წვალებით ავიდა გორის წვერზე და სიმაგრისაკენ გაქანდა. იაპონელები შტიკებით დაუხვდნენ. როტის კომანდირი შტიკზე ააგეს, მაღლა ასწიეს და გორიდან ძირს გადააგდეს. სალდათები წინ გაქანდნენ, მაგრამ იაპონელები ისე მედგრად დაუხვდნენ, რომ სანამ სხვა როტები მოეშველებოდნენ, მე-6 როტა თითქმის სულ მთლად ამოსწყდა. („ბ. ვ.").

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იუწყება მუკდენიდან: 3 ოქტომბერს მდინარე შახეზე სამხრეთ დასავლეთ მხარეს ვებრძო-

დით იაპონელებს. რუსის ჯარი უკან იხევს და ერთ ადგილას იკრიბება. იაპონელები გასაკვირალ მამაცობას იჩენენ, იმათ მხნეობას საზღვარი არა აქვს. მხოლოდ რუსის ჯარს შეუძლიან ამისთანა მოპირდაპირესთან ბრძოლა. მუკდენის რკინის გზის სადგურზე განუწყვეტლივ მუშაობენ. ყველა ვაგონი დაჭრილებითაა სავსე; დაჭრილებს ხარბინში და ხარბინს იქით ჰგზავნიან. („ნ. ვ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი სწერს: 4 ოქტომბერს რუსის ჯარი კიდევ მდინარე შახეზე იდგა სადგურს უკან; თითონ სადგური ისევ იაპონელების ხელში იყო. სარგურსა და მდინარე შახეს შუა რკინის გზის ხიდის ახლო სოფელი ლაშატუნიც იაპონელებს უჭირავთ. დასავლეთ რაზმის (გენ. ბილდერლინგისა და სხვ.) შტაბი ცოტა უკან გადავიდა, სადგურ სუიატუნისაკენ (მუკდენიდან 12 ვერსტი იქნება).

28 და 29 სექტემბერს ზოგიერთ რუსის ბატალიონს ცხრა მეათედი დააკლდა, ესე იგი 10 კაცში 9 მოუკლეს და დაუჭრეს. („ბ. ვ.“).

ინგლისურ და ფრანგულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ: ყველაზე დიდი ზარალი რუსის ჯარში მე-17 კორპუსს მოუვიდა; არტილერიის მე-3 ბრიგადამ თითქმის ყველა ზარბაზანი ბრძოლის ველზე დასტოვა; არტილერისტები ყველა ან მოუკლეს, ან დაუჭრეს. ტომსკისა, ტამბოვისა და ნავოჩერკასკი პოლკებს საშინელი ზარალი მოუვიდით. ვიბორგის პოლკი და ციმბირის მე-6 (გენ. სობოლევის) კორპუსიც ძლიერ დაზარალდნენ. რუსებს ყველაზე მეტი ზარალი იანტაის ახლო ერთ გორასთან მოუვიდათ, იქ, სადაც ბუდას ტაძარია აშენებული. ამ ტაძარიან რუსის პოლკები წყალივით დალია იაპონელების ყუმბარამა და შრაპნელმა. ბრძოლის ველზე 1500 მოკლული სალდათი დარჩა. („ნ. დ.“).

„რუსკოე სლოვო“-ს სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, რუსის ჯარს იანტაისთანა და შახესთან 40—45 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული და დაჭრილიო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველიც ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, რუსის ჯარს იანტაისთან და მდ. შახეზე ბრძოლის დროს 2 ოქტომბრამდე 41 ათასამდე კაცი დააკლდებოდა დაჭრილი და მოკლულიო. ს. კ. სწერს: „რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი იუწყებოდა: მუკდენში სულ მცირედ 3 ათასი დაჭრილი მოიყვანეს, ამას გარდა ბევრი პირდაპირ ტელინისაკენ წაიყვანეს, ესე იგი ფუშუნისა და ინპინის გზითაო. ამ ომის დროს ხუთ დაჭრილზე ერთი მოკლული, ან ბრძოლის ველზე დარჩენილი მოდიოდა, ამიტომ დასავლეთ რაზმს სულ 28 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული და დაჭრილი. თუ აღმოსავლეთ რაზმსაც ასეთივე დიდი ზარალი მოუვიდა, მაშინ გამოვა, რომ რუსის არმიას 2 ოქტომბრამდე 41 ათასი კაცი დააკლდებოდა მოკლული და დაჭრილი, ესე იგი ისეთივე ზარალი მოჰსვლია, როგორც ბოროდინოს ბრძოლის (ნაპოლეონთან 1812 წ.) დროს მოუვიდა. თვალით მნახველნი ამბობენ, იანტაისთან და შახეზე მთელი ოთხი ქვევითა პოლკი და 3 დივიზიონი (72 ზარბაზანი) არტილერია წყალივით დაილიაო...

30 სექტემბერს გენ. ნოძუს არმიის მარცხენა ფრთე და გენ. ოკუს არმიის ფრთე უცებ დაეცნენ მე-9 დივიზიის პირველ (გენ. რიაბინკინის) ბრიგადას, უკუ აგდეს და არტილერიის მე-9 ბრიგადის მე-2 დივიზიონი სულ გაანადგურეს (დივიზიონში 24 ზარბაზანია). ორის-სამის საათის შემდეგ ნოძუს ჯარი მე-31 დივიზიის მე-2 ბრიგადას (კოზლოვსკი და ვორონეჟსკი პოლკები) დაეცა და შახეპუსაკენ დაახევინა, მაგრამ რუსები აქაც ვერ გაუმაგრდნენ იაპონელებს. გენ. ნოძუს ჯარი ფიცხად გაქანდა წინა და შახეპუ დაიჭირა. რუსის პოლკებს აფიცრების უმეტესობა მოუკლეს და დაუჭრეს; ამიტომ რუსები მდ. შახეს გაღმა გავიდნენ. ასე რომ 1 ოქტომბერს რუსის ჯარი მდინარე შახეს მარჯვენა ნაპირად დადგა. გენ. შტაკელბერგის კორპუსიც შახეს ნაპირას მოვიდა და დასავლეთის რაზმის გვერდზე დადგა. აღმოსავლეთის რაზმმა კი ვეღარ მოასწრო მუკდენის გზით წამოსვლა და პირდაპირ ფუშუნისაკენ დაიხია; გენ. ნოძუმ მუკდენის გზა დაიჭირა და აღმოსავლეთის რაზმი მუკდენისაკენ აღარ გამოუშვა. გენ. კუროკი ფეხდაფეხ გაჰყვა აღმოსავლეთის რაზმს და ბანიუპუზადან 4 ვერსტის მანძილზე, სამხრეთით სოფ. შანპინტაიძისთან იერიში მიიტანა აღმოსავლეთის რაზმის უკანა ჯარზე, დანარჩენი რუსის ჯარი-კი 1 ოქტომბერს მდ. შახეზე დადგა. („რ. ვ.“).

ერთის სიტყვით რუსის არმია, ლიაოიანისაკენ წასვლის მაგივრად, უკან დაბრუნდა და მუკდენის სამხრეთით მდ. შახეს პირად დადგა. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: „გენ. კუროპატკინმა ეს მეხუთედ გაილაშქრა იაპონელებზე იერიშის მისატანად და ეს გალაშქრებაც წინანდებურად უკან დახევით დასრულდა. რუსის ჯარმა ნელ-ნელა ისევ მუკდენისაკენ გასწია. მართალია 1 და 2 ოქტომბერს ბრძოლა ჯერ გათავებული არ იყო, მაგრამ გენ. კუროპატკინი ახლა მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ იაპონელებმა არ მიუსწრონ და მდ. ხუნხეზე ხიდები არ ჩაიგდონ ხელში. რუსის ჯარი წინ გალაშქრებასა და იაპონელებზე იერიშის მიტანას აღარ ფიქრობს...

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. კ. ამტკიცებს, ჯერ ძნელი გამოსაცნობია, როგორ წავა საქმეო. პ. კ. სწერს: „2 ოქტომბერს ჯერ ბრძოლა გათავებული არ იყო. გენ. კუროპატკინის მოხსენებაში ეწერა: ჯარს ნაბძანები აქვს, რომ იაპონელებს ყველგან მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ. აქედან სჩანს, რომ რუსის ჯარი ჯერ უკან დახევას და მდინარე ხუნხეს გაღმა გასვლას არ აპირობს. ჯერ კიდევ მოხდება დიდი ბრძოლა და მხოლოდ მაშინ გადასწყდება, ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ და ვინ დამარცხდება. ეხლა კი მარტო იმისი თქმა შეგვიძლიან, რომ გენ. კუროპატკინის პლანი—მარშალ ოიამას არმიის წინ აღმდეგ გალაშქრება და კუროკის არმიის გვერდიდან შემოვლა—მარცხით დასრულდა. ჩვენის აზრით, უმთავრესი მიზეზი ამ მარცხისა იაპონელების მეტის მეტად მხნე და მოხერხებული მოქმედება იყო. სიმართლე უნდა ვსთქვათ, მარშალი ოიამა ხელად მიჰხვდა, საიდან მოიტანდნენ რუსები უმთავრეს იერიშს და თავისი ჯარი მომეტებულ ნაწილად იანტაის ჩრდილოეთით გაგზავნა. რუსებმა იაპონელების მარჯვენა ფრთის (გენ. კუროკის არმიის) წინააღმდეგაც დიდი ჯარი გაგზავნეს, მაგრამ მარშალი ოიამა არ შეუშინდა ამას და თავისი უმთავრესი ჯარი იანტაის ჩრდილოეთით გაგზავნა და არა ბენსიხუსა და ბანიუპუზასაკენ გენ. კუროკის მარჯვენა ფრთის საშველად. სხვა უიმისო შეშინდებოდა, ვაი თუ რუსებმა გვერდიდან მოგვიარონო და დიდ ჯარს მარჯვენა ფრთისაკენ გააქანებდა. ამ დროს რუსის უმთავრესი ჯარი რკინის გზასა და მანდარინის გზის პირად თითონ გენ. კუროპატკინის წინამძღოლობით ადვილად დაამარცხებდა იაპონელების შუა ჯარს და მთელ არმიას შუაზე გაარღვევდა. მაგრამ ნამდვილად მარშალი ოიამა სულ სხვანაირად მოიქცა. არა თუ თავის შუა ჯარი არ შეასუსტა და იქიდან რაზმები არ მიაშველა მარჯვენა ფრთეს (კუროკის არმიას), პირიქით თავისი შუა ჯარი უფრორე გააძლიერა, თითონვე მედგარი იერიში მიიტანა რუსის უმთავრეს ჯარზე და უკან დაახევინა. ბოლოს რუსის ჯარი წინ გალაშქრების ნაცვლად მდ. შახეზე გამაგრდა, და იაპონელების მოგერიებას ლა სჯერდება ეგება ვიმეორებთ, ჯერ ბრძოლა არ გათავებულა და ჯერ კიდევ ძნელი გამოსაცნობია, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება. ეხლა მდ. შახეზე მოხდება ბრძოლა და თუ რუსის ჯარი მუკდენისაკენ დაიხევს, ცხადია, ეს იაპონელების გამარჯვება იქნება, მაგრამ, ვინ იცის იქნება, რუსის ჯარმა მდ. შახედან უკან აღარ დაიხიოს და პირიქით წინ გაილაშქროს....

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, **თავისუფალი ადგილი კავკასიაში**, რომელზედაც განზრახულია რუსეთიდან გადმოსულთა დასახლება, ერთ მილიონ დესეტინას უდრის. ამ რიცხვში ჩათვლილია შირაქის ველიც, რომლითაც დღეს თუშ-ფშავ-ხევსურ ქიზიყელნი სარგებლობენ.

◆ ოფიციალურის ცნობებით, მდგომარე წლის პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე კავკავის გზით **რუსეთიდან კავკასიაში მოხულა დასასახლებლად 118 ჯგუფი**, სულ 9853 სული. 80 ჯგუფი სხვა-და-სხვა ადგილას წასულა დასასახლებლად, ხოლო 38—უკანვე დაბრუნებულა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 18 ათასი მანეთი მოსამსახურეთა შვილების **სწავლა-განათლებისათვის**.

◆ გუშინ, 9 ოქტომბერს, **ავლაბრელთა წარმომადგენლებმა**, 80-მდე კაცმა, განცხადება გადასცეს ქალაქის გამგეობას საბჭოში შესატანად. ავლაბრის მცხოვრებნი უჩივიან თვით-მმართველობას, რომ იგი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქალაქის ამ კუთხეს. ამას წინად ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მოისურვა, თუ საბჭო ნებას დართავს, ავლაბარზე ნავთლუხამდე ელექტრონის ტრამვაის გაყვანა. მაგრამ დღემდე ამ საქმეს არავითარი მსვლელობა არ მიეცა. ავლაბრელნი კითხულობენ, რა მიზეზია, რომ ავლაბარს არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქალაქი, თუმც ავლაბარი ყოველგვარ გადასახადს პირნათლად იხდისო. ავლაბარში 40 ათასი მცხოვრებია და ქალაქი იმას უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე ვარდისუბანს, ორთაჭალას, დიდუბეს და ვერას, რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც გაშენდნენ და გაიზარდნენ: ამ უბნებში,—განაგრძობენ ავლაბრელნი,—ქუჩები კარგად არის გაკეთებული, სკოლებიც მეტია და სხვა სიკეთეც ბევრი აქვთო. დასასრულ ავლაბრელნი თხოულობენ, დააჩქაროს საბჭომ ავლაბარში ელექტრონის ტრამვაის გაყვანის საქმის გადაწყვეტა. მცხოვრებნი თხოულობენ აგრეთვე იმას, რომ ტრამვაი გაყვანილ იქნას გოგილოს აბანოებამდე-კი არა, როგორც განზრახულია, არამედ ნოვო-ტროიცკის სოფლამდე. თუ არ ვცდებით, ავლაბრელნი ყოველ წელიწადს სჩივიან და გოდებენ ამნაირად, მაგრამ ქალაქის საბჭოს და გამგეობას, როგორც ეტყობა, იმათთვის ჯერ არ სცალიან.

◆ ბათუმის ქალაქის გამგეობას განუზრახავს მოახდინოს **ბათუმის მცხოვრებთა საყოველთაო აღწერა**.

◆ შემდეგს გვატყობინებენ თავ. **თომა ციციშვილის მკვლელობის** შესახებ: 3 ოქტომბერს, დილის 5 1/2 საათზე, სურამის ბოქაულს აცნობეს, აზნაურ ქუმსი მდივაძის სახლში სოფ. ხცისის მემამულემ თავადმა თომა ციციშვილმა რევოლვერით თავი მოიკლაო. ბოქაული იმ წამს იქ გაჩნდა. ციციშვილი მომაკვდავი დახვდა და რამდენისამე წუთის შემდეგ სულიც განუტევა. იმ წამსვე სურამიდან დაბარებულ იქმნენ ექიმები ბლიუმი და ლისოვსკი. ექიმებმა კარგად გასინჯეს ციციშვილის ჭრილობა და სთქვეს, რომ ციციშვილს თავი-კი არ მოუკლავს, სხვა ვიღაცას მოუკლავსო. საქმე ამ ჟამად გამომძიებლის ხელშია.

◆ 8 ოქტომბერს ქალაქის მცხოვრებთა **ჯანმრთელობისათვის** მზრუნველმა კომისიამ ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-ტეხნიკოსთა თანადასწრებით განიხილა საქმე **მტკვრის მარჯვენა ტოტის მიწით ამოვსების** შესახებ. ზოგიერთებმა განაცხადეს, ქალაქს არ შეუძლიან მიწით ამოავსოს ეს ადგილი და ზედ ბაღი გააშენოს, რადგან იგი სადაოაო. ზოგმა სთქვა, უკეთესი იქნება ეს შტო ისევ ისე დავტოვოთ, წყალი მეტი გადავუშვათ და შემდეგ გამოვავლგებათ, თუ ვინიცობაა, საბჭომ შეიწყნარა აზრი პაპკოვსკის ადგილზე საჰიდრავლიკო სადგურის აშენების შესახებაო. კომისია ვერავითარს გამორკვეულს აზრს ვერ დაადგა და დაადგინა, კიდევ მოახდინოს კრება.

◆ როგორც საგუბერნიო სამკურნალო გამგეობის ანგარიშიდანა სჩანს, შარშან **ტფილისის გუბერნიაში** ყოფილა 192 ექიმი, აქედან 162 ტფილისში და 30 მაზრებში. ექიმი-ქალი გუბერნიაში იყო 16. საანგარიშო წელს გუბერნიაში მოქმედებდა 19 სასოფლო სამკურნალო. აქედან 9 ინახება საერობო თანხით, ხოლო დანარჩენნი—სოფლის საზოგადოებათა ფულით.

◆ ამას წინად ტფილისის **მეპურეებმა** სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ფქვილის სიძვირისა გამო, პურის ნიხრს მოუმატოს და სამ-ნახევარ კაპეიკის ნაცვლად 4 კაპ. გახადოს. ნიხრის კომისიამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, რადგან გამოირკვა, რომ პურის ფქვილი არ გაძვირებულა და თასი სულ 5-6 კაპ. განსხვავდება. კომისიამ დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს, თვალყური ადევნონ, რომ მეთონეებმა აქამდე არსებულ ნიხრზე ძვირად პური არ გაჰყიდონ.

◆ როგორც გვატყობინებენ, სოფ. შხ… ფის (სენაკის მაზრა) მთავარ ანგელოზ… **ეკლესია გაუტეხიათ** და წაუღიათ შემდეგ… ნივთები: ვერცხლის ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, კოვზი, ტრაპეზის დიდი ვერცხლი… ჯვარი და ძველი ფული.

◆ ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი** კ. მ. ლინდენი 8 ოქტომბერს ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **ნავთის მილის მოსამსახურეთათვის** კიდევ აშენდებ… სადგომი სახლები სადგურებს ევლახსა … ბარგუშეთს.

◆ გუშინ, 9 ოქტომბერს, ამიერ-კავკასი… რკინის გზიდან **იმიერ-ბაიკალის გზაზე** წა… და ათი ტელეგრაფისტი.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნე… დეპარტამენტმა დაავალა ტფილისის საგუბერნი… გამგეობას, წარუდგინოს ცნობები ტფილისის გუბერნიაში ბავშვთა თავშესაფრების შესახებ: რამდენია ასეთი თავშესაფარი, როდის დაარსებულან, ვისი ხარჯით ინახება და სხვ.

◆ 7 ოქტომბერს, სამსახურისა გამო, პეტერბურგს წავიდნენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველის უფროსის თანაშემწე კუზნეცოვი და სტატისტიკის გამგე სალავიოვი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონტროლის მთავარი კონტროლიორი ვლადიმიროვი, ავადმყოფობისა გამო ამ დღეებში საზღვარ-გარედ მიემგზავრება საწამლებლად. მის მოადგილედ დროებით დაინიშნა ბ-ნი პატრიკინი.

◆ დღეს, 10 ოქტომბერს, ხარფუხის სამრევლო-სკოლების ახლად აგებულ შენობის კურთხევაა დანიშნული.

◆ გორის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა იმ თვის გასულს: 1. სოფ. მერეთის აზნაურს გიორგი მიხევს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოსვლია და მძიმედ დაუჭრია თვალში აზნაური სიმონ ფურცელაძე; 2. ქ. გორში ლუკა ეგნატაშვილმა დასჭრა სახეში მძიმედ სიმონ ჩიტაძე; 3. სოფ. ქვემო-სასირეთის მცხოვრები ზურაბ აბრამიძე ჩავარდა მტკვარში და დაიხრჩო; 4. ს. ქარელის მცხოვრებლებმა გიორგი ცერაძემ და კონსტანტინე როინაშვილმა სოფ. ნადარბაზევის (ოზურგ. მ.) მცხოვრებს პარმენ კიკნაძეს ფულით (140 მ.) სავსე ქისა ამოაცალეს და დაიკარგნენ.

◆ სიღნაღის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა იმ თვის მეორე ნახევარში: 1. მეთამბაქოეს ენფიანჯიანცის ზვრის ყარაულს სოფ. ბაკურციხის მცხოვრებს ლევან ტოხიაშვილს, როდესაც ვენახს უვლიდა საყარაულოდ, მოხვდა საიდანღაც გასროლილი ტყვია და იქვე მოჰკლა; 2. 28 სექტემბერს სოფ. ყობაქჩეს (ზაქათალის ოლქი) მცხოვრებნი ომა… ახმად-ოღლი და რამაზ-აჯი-ყურბან-ოღლი … გზაზე ცნობილმა ყაჩაღმა-უსუფ-ალი-ოღლიმ … რთვა რაც რამ ჰქონდა.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გ… ქალაქის მოურავს, რომ ნავთლუხში იმ ადგილიდ… სადაც ბაქო-ყარსის რკინის გზის შტოები იყრებიან ნიჟეგოროდის პოლკის კაზარმებამდე არც ერთი ფარანი არ არისო. ამით სარგებლობენ ქურდები და ავაზაკები მოსვენებას არავის აძლევენო. პოლიცმეისტერი სთხოვს გამგეობას, ამ ნაწილში ფარნები დაადგმევინოს.

◆ 7 ოქტომბერს, პოლიციის მე-3 ნაწილ… შუშის მცხოვრებს ხოსრო გრიქოროვს განუცხადებია რომ ტფილისში ჩამოსვლის დროს რკინის გზის სადგურზე გამეცნო ერთი კაცი, რომლის სახელი და გვარი ვერ დავიხსომეო. გრიქოროვი უცნობთა ერთად ჩამომხტარა „გრანდ-ოტელის“ სასტუმრო… ღამე უცნობს 570 მანეთი მოუპარავს და გამქრა…

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ქალები გიორგი ერისთავის ლექსების და პიესებისა *)

ეს ბედნიერი დრო იყო ჟამი სიყვარულისა და ტრფობისა, როს სიყვარული „უზადოხულებდა, ატრფობდა, აფუფუნებდა“ პოეტს. პოეტის შეხედულებით, „ბედნიერ დღეთა ვერ დასთვლის, ვინც ეშხის ზღვაში არს ფლული: აზრი, გრძნობა და გონება გრძნების მახეში აქვს ბმული“. 9) ამავე აზრს იმეორებს მეორე ლექსში (თედოსია მირეცკას): „გრწმენის ზემო, მზისა სხივი მაშინ ბნელად გვეჩვენების, თუ გულშია ტრფობის ალი, მცირე არის, არ გვენთების“. „ვაჰ მას, ვისაც აქვს გული, ტრფობისთვის გაუღვებული“, ამბობს პოეტი: „მაგრამ უმეტეს მებრალვის, ვინც იყო ერთ გზის ტრფიალი, ვის შეეცვალა სამსალად ტრფობისა სავსე ფიალი“. 10) პოეტი დიდი თაყვანისმცემელია ქალის სილამაზის და სიშვენიერის, ხოლო ქალის უდიდეს და უმთავრეს ღირსებად მიაჩნია სიყვარული. კ. ბ. თ—ს სწერს გულნატკენი: „შენში არ არის ცეცხლის ტრფობის ნაპერწკალიცა მცირედი გრძნობის! ცვილი, არა ხარ დაბადებული, ღვთიური ნიჭით განშვენებული, რომლით ბუნება ქალს განაწყენებს და მის ცხოვრებას დაავგმირგვინებს. ვაჰ მას ჭაბუკსა გამოუცდელს, ვინცა მიიღებს შენს ცივს ხელსა; ნაცვლად ტრფობისა რა ხვდეს მას წილად, ვინ სიყვარულს ჰრაცხავს სიცილად“. პოეტი სტკბებოდა სიყვარულით, მაგრამ ხან მოკლე იყო მისი ტრფობა, და იგი ცდილობს, დაამშვიდოს, დააყუჩოს თავისი გული: „საბრალო გულო, რად მღელვარებ ტრფობისა გზებით, რად არა უსმენ შენსა მრჩეველს გვისა გონებას! ნუ ელი ტრფობას, მისთა ბაგეთ ზედ დაკონებას, სულო, ნუ უსმენ, შემცდარია სწყალი გულო... აგი სიყრმიდან შეჩვეულ ხარ ოხვრის და ქშენისს! გულს ნუ აყვები,—ტრფობისაკენ ვერ ვინ გაჰკურნავს. რით ვერა მიხვდი, ვისდამიცა ხარ შემსჭვალული: არის ამაყი, უგრძნობარი, არა აქვს გული!“ 11) განვლო კიდევ დრომ და პოეტის გული არღა იყო ჭკვა მტრფობი, „ტეხლისა ნაცვლად მოეკიდა კარშემო თმა“. პოეტს ისღა დარჩა, რომ მოეგონებინა წარსული დღენი, როდესაც იყო ბედნიერი. იგონებს წარსულს და თან ჰყვნის:

„სადღა ვიპოვო მე იგი დრო, როს მშვენი სახე გულსა ტრფობისა აღმგზნებარად ზირგულ რა ვნახე, შავ ბედსა შენა გამომიჩნდა ჩემდა სადხენად, ვითა ვარსკვლავი ცისკარისა დღისა გამთენად“. 12)

გ. ერისთავი არც საზოგადოებრივ ცხოვრების, სამშობლოს ბედის კმაყოფილი იყო და ვერც სიყვარულში ჰპოვა პირადად კმაყოფილება. როგორც თვითონ ამბობს, თავიდანვე შეეჩვია ოხვრას და ქშენას. ხოლო მისი უკმაყოფილება და ოხვრა არ იყო ძლიერი და ისეთი თვისების, როგორიცაა, მაგალითად, ნ. ბარათაშვილისა. ამ შემთხვევაში მისი მწერლობითი ნიჭი მიიღებდა ტრაგიკულ ხასიათს, როგორც იყო ნ. ბარათაშვილის პოეზია და არის იბსენის დრამები. როდესაც რამე მოგვდის ძლიერ გვტანჯავს, გვაღელვებს, მეტად სამძრავებს ჩვენს გრძნობებს, როდესაც მეტად ვგრძნობთ ცუდს მოვლენას, მაშინ ადგილი არა აქვს არავითარს სიცილს. საზოგადოდ ერთნაირი ზომიერობა გრძნობათა, რომ მწერალმა თავის სატირულ და კომიკურ ნაწარმოებთა საგნად გაიხადოს ცხოვრების ცუდი მხარეები, რომ ცრემლ შერეული სიცილით შეეძლოს რისიმე მითხრობა და აწერა.

გ. ერისთავის სატირიული ნიჭი, რომელმაც შექმნა „კურა“, „დავა“ და „მზითვი“, ჯერ კიდევ მის ლექსებს ემჩნევა. იშვიათად თუ ვისმე არ გაუგონია მისი ლექსი „ნუ მიკრავ, დედილო, წითელ კაბასა, ან რად მიდებ ქათიბზედ ფარჩის ქობასა“? დედა ახარებს ქალს „დიდს [illegible]“ უნდა მიგათხოვო, „ვარსკვლავი აქვს გულზედა, ყელზე ჯვრებით“, ქალი-კი სტირის და უარს ამბობს, არ წავყვები ბებერ კაცსო. ამგვარივე თვისებისაა მეორე ლექსიც („ჩემ „დედა და ქალი“): დედა ეუბნება თავის ქალს—„როგორაც რომ გინდოდა, გიშოვნე კარგი ქმარი, მდიდარი, დიდი კაცი, მშვიდი, გონიერი, წყნარი, ჯერ არის პოლკოვნიკი, მაგრამ ფრანგნობს შიდის ერთ თვეს უკან, და სხვა მრავალს წყალობას“. დედას უხარია, ბალებს და ვეზრებს გამართავთ, კადისკით ვიგიზატებთ, ბიჭს „დიბერითის“ მოვრთავთო. გაათხოვებს ქალს და თვითონაც სიძისას გადასახლდება, მაგრამ ხუთი თვის შემდეგ სიძე სახლიდან გამოაგდებს და ამის შესახებ ბებრები ლაპარაკობენ: ახია მაზედ, „ურუსნელის“ მიუცია კადისკისათვის ქალი, მაგისთანა საქმისთვის არ არის შესაბრალი.“ ლექსში „ფიქრი უმაწვილო ქალისა“ პოეტი აგვიწერს ქალის ოცნებას გათხოვების შესახებ: „რად მინდა ბეცდარ ქმარად: იმას არ შეუძლია ცხოვრება რუსულ გვარად.“ ისეთ ქმარს შევირთავ, რომ ჭერ მაიორი იყოს, მდიდარი და ლამაზი, რომ თვეში ორჯერ მდიდრულს ბალებს გამართავდე, ყოველ დღე დიდით ფაეტონით „დავქროლავდე“, „საღამოს კავალრებით უნდა გავართხევდე“. ასე ოცნებობდა ჩვენი ქალბატონი, მაგრამ სამი წლის შემდეგ, ბედმონება აგტორი, კახეთში ვიყავი და ვნახე ეს ქალი „იყო ხადრ წამოსხმული“, „წინ ქმარი მიუძღოდა ჰაჰაჰ ჭაშებიანი, მაღალი, ვით აქლემი, ჩემებრ დიდ ცხვირიანი“. უკან გავყევ ქალს სახლამდის და ვნახე, რომ მისი „კოსტანი“ იყო გაცუდებული. „ფანჯარას ფარდის წილად ეფარა სამოსელი, ჩვენი გაზრდილი ქალი დაჯდა ტახტზე ქართულად, მაგრამ მეისვე დაფიქრდა, იწყო მღერა რუსულად“. ერთს, გარეჯნობის მოყვარე, მეგობარს (ჩინო მოწერილი მეგობართან) ჩვენი პოეტი ასეთნაირად დასცინის: „შენ ახალ მუნდირშია, ოხ! რა ფინთი იქმნები! გგონებ სწორედ აყლა ბრის კავალერის ეგვანები! ან გგონოს მაგით ჰქმნე კარიერი, რომ გამოიცვალე, სხვა ხაიცვა მუნდირი?..“

ასეთს ფიქრებს მოჰგვრიდა გ. ერისთავს… ნამდვილი ცხოვრება, რომელიც სევდით ავსებდა მას სულს და რომელიც მეორე უფრო… დად დაგვიხატა თავის პიესებში.

გ. ერისთავს თავის კომედიებში არ დ… რათებია მთელი ქართველი საზოგადოება… დაგვიხატა მარტო ქართველი თავადი, რო… სიც მხოლოდ ქონების ხარჯვის უნარი შერჩე… რომელიც, როგორც კარაპეტა ამბობს: „ჭკუით მტერია, ნიმუტი ფული არ დაუგდებს ჯიბეში, როგორც ნიორი ისე აყვირდება და გადაჰყრის“; სომხის ვაჭარი, რომლისთვის ფული ცოდვი… არის და შვილიც; ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც რუსეთში განათლება მიუღია, უნდა ცხოვრებაში გაუმჯობესება შეიტანოს, მაგრამ ამისთვის ძალა არ შესწევს და ისევ ძველის, მამ… წესით განაგრძობს ცხოვრებას. სხვა მხარ… თანამედროვე ცხოვრებისას გ. ერისთავი თი… მის არ შეხებია. გაკვრით ახასიათებს თანამედრო… ვე ჩინოვნიკების უსინდისო მექრთამეობას და… თრიოდ სიტყვით ეხება გლეხების მდგომარეობას: ერთი—მოურავი ბარამი ურჩევს თავის ბატონს ანდუყაფარს—შევაწიროთ გლეხებს ფული, ერთი თხისათვის თუმანს ავკრებთ ხელადო. მეორე—ურჩადშეურდი დაარიგებს გაბრიელს, მოურავად დაუდექ შენს ბატონს, ჰური შენს ხელში ექნება და ღვინო, შემოსავალი. ვისაც ბატონი… აიკლებს, ნახევარი მოურავისაა, ერთის სიტყვით ბატონის მონასხვერე არისო.

ძველი ქართველი თავადი რამდენიმე ჰუ…

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2632.

9) სატრფოო...

10) გაცუდებული.

11) გულის.

12) ოგონება.

◆ ერევანი. 4 ოქტომბერს, მუშაობის დროს, ანის ქვეშ მოჰყვა და დაშავდა აკოფ პეტროსიანცი.

◆ საბუნჩა: 7 ოქტომბერს, სალამოს 7 საათ. წუთზე, როდესაც სახალხო მატარებელი სადგურში ოდიოდა, ვიღაც უცნობი კაცი მოჰყვა მატარებლის ბ და ორივე ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული საა- მყოფოში გაგზავნეს.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის-მოწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება** 260. შინაარსი: „ნარო", მოთხრობა შა- ვა შარაშიძისა, სხვა-და-სხვა ამბები; სურათები: „მონადირე",—სურათი შმიცბერგისა, ოსთა და იაპონელთა ცხენოსან რაზმების შეტაკება მანჯურიაში, იოანე მრისხანეს ოლ- ბა ცოლთან",—სურათი სედივისა და ორი იკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ წელს მთელს იმერეთში ყურძნის კარგი მოსავალია, ისეთი, როგორიც ამ 7—8 წლის განმავლობაში არავის ახსოვს. სულ მიტოვებულმა, გაუშენებელმა ვენახებმაც კი ვი ისხელა და შესანიშნავად მოისხა. ქუ- აისში ყურძენი ძლიერ გაიაფდა. შარშან უ ფუთი ყურძენი, ისიც ნაკლები, ვიდ- ა აბაზად იყიდებოდა, წელს ზევრად უკე- ი ყურძენი იყიდება 70—80 კაპ. ამბო- ფასები კიდევ დაიკლებსო.

◆ უკანასკნელ თვეების კარგმა ამინდებმა იმინდის ყანები ცოტათი გამოაკეთა და მოსავალი ისეთი ცუდი აღარ არის, როგორიც მოსალოდნელი იყო. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ სიმინდს ეხლავე გაუჩნდა ჩრჩილი, რომელიც გულს უხრავს სიმინდის მარცვალს და პეპლად გამოდის. მცხოვრებლები სასოწარკვეთილებაში არიან ავარდნილნი მით უმეტეს, რომ არსაიდან შველას არ მოელიან. თუმცა ჯერჯერობით ოტათი კი იკლო სიმინდის ფასმა,—ფუთი ერთ მანეთად იყიდება—მაგრამ მალე ისევ იწევს.

პატარა ფელეტონი

გახუნებულ თავადის აღსარება*)

ასეთი გამოცდილების სკოლა გამოიარა პატათავადიშვილმა იმ დროს, როცა იგი ჯერ კი- გიმნაზიის მესამე თუ მეოთხე კლასში იყო: მამამ ქონება და მამული არივ-დარია, ვალებში ახლართა; მევალეებმა დედაც კი აღარ დაუყენეს ა პაპურს მიწა წყალზე,—გამოაძევეს და თვითონ დაიწყეს ოპეკის საშუალებით შემოსავლის კრეფა და სარგებლობა. გონიერ ადამიანისათვის ასეთ „სკოლას" უნაყოფოდ არ უნდა ჩაევლო, არ უნდა დავიწყებოდა, თუ რა უფსკრულში ჩავარდა იგი და მისი დედამამის ბედოვლათობამ და უგნურობით ცხოვრებამ. ახალგაზრდობაში გამოცდილი ძლიერი შთაბეჭდილება კაცს მოწიფულობამში და მოხუცებამშიაც არ ავიწყდება ხოლმე.

მაგრამ ჩვენი თავადი ამგვარი აგებულების არ მომდგარა. როგორც-კი დედა მოუკვდა, მან სწავლას თავი დაანება და გიმნაზიის კლასიდან გამოვიდა, შემდეგ ხან მა- ა ხან სამხედრო სამსახურში. მა- არა და თვისი საკუთარი ოჯახი ის გზაზე დააყენა, რომ არ მადავს და სიკვდილის წინ გულ-ახდილად სწერს: „ასე მოვჭამე სამოცდა ათი წელიწადი: ერთხელ ავსებული სახლი დავშალე, მეოთხედ მილიონის მამულები დავჰყიდე და ახლად სახელმწიფო ბანკის რვა ათასი თუმანი ვალად დავიდე მამულების დაგირავებით. შვილებიც უსწავლელი დავაგდე მეცხრამეტე საუკუნის გასულს"-ო.

როგორც ჰხედავთ, ეს დიდი „ღვაწლი" არ არის და ამისთვის არ ჰღირდა ავტობიოგრაფიის წერა. თუმცა თვითონ დამწერი ამბობს, „ჩემი წუთისოფელი მამულისა და ოჯახის სიყვარულში დავაბერეო", მაგრამ არ გვგონია, რომ „ერთხელ ავსებულ სახლის" დაქცევა, და მიწების დაიდვა, ვალებით დაუურვა და შვილების „უსწავლელად დაგდება მეცხრამეტე საუკუნის გასულს" მამულისა და ოჯახის სიყვარულს მოწმობდეს. ან-კი რად უნდა გვიკვირდეს? ჩვენს თავადებში ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა მამულის ასეთი „სიყვარული"... მხოლოდ ესაა, რომ მათში თავის „ღვაწლს" თავ. ხოლოყაშვილსავით გულახდილად და დაუფარავად არავინ გამოაცხადებს... ამ მხრით „ავტობიოგრაფიის" დამწერი მეტყველი გამომხატველია მრავალ თავადის ცხოვრებისა და ქცევა-მოქმედებისა. მისი წოდების არა ერთსა და ორს წევრს ეთქმის მასავით: „ერთხელ ავსებული სახლი დავაქციე, მამულები დავჰყიდე, ვალები დავიდე და შვილებიც უსწავლელი დავაგდეო". თავ. ხოლოყაშვილმა საჯაროდ სთქვა ის, რასაც ბევრი გულში ჰფიქრობს, მაგრამ სირცხვილით ხმა მაღლა ვერ იტყვის...

რაც შეეხება პირად ზნეობას და ხასიათს, თავ. ხოლოყაშვილი მიუწვდომელი და ძნელად შესაგუებელი ადამიანი ყოფილა, რასაც არც თვითონ მალავს. „ძმებისა, გვართა ხოლოყაშვილებისა, მომიჯნავეებისა და მეზობლების დაგმამ და ცოლის ჩივილმა ანჩხლიანისა და მოუსვენარ კაცის სახელი დამიგდო"-ო, სწერს იგი. ცოლი ისე დაუტანჯავს, რომ სასამართლოს მისთვის 1878 წელს ციმბირში გადასახლება გადაუწყვეტია. ტფილისის თავად აზნაურობამ შუამდგომლობა აღძრა და თავ. ხოლოყაშვილი 3 წლის შემდეგ ციმბირიდან ისევ საქართველოში დააბრუნეს. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ „ანჩხლიანსა და მოუსვენარ კაცს" გლეხებთან კარგი განწყობილება ვერ ექნებოდა. ბატონყმობის მოსპობის წინა ხანებში,—სწერს თვითონ თავ. ხოლოყაშვილი,—„მებატონეთა წინააღმდეგ დიდი ურჩობა ჩამოვარდა გლეხებში, რადგან მაცდურნი-დამრიგებელნი საკმაოდ გამოუჩნდნენ ამათ. საჩივარი საჩივარზე მოუდიოდა ახალ ნამესტნიკს, რიცხვი აღარ იყო; მოხელეები ვეღარ აუდიოდნენ გლეხების ბატონებზე საჩივრის გარჩევას. ჩემზედაც თვრამეტი საჩივარი შევიდა ნამესტნიკთან ერთ კვირაში. ყმები ერთ-პირად შეკრთნენ, ქადაგში ჩავიდნენ... გლეხები შეწუხებას, მძიმე სამსახურს და ანჩხლობას მიჩიოდნენ. გამოგზავნეს ნამესტნიკის ადიუტანტი ნიკოლაევი და ბ-ნი ჭყიმოვი და გლეხების საჩივარი აბდა-უბდასავით გამოიძიეს და ნამესტნიკს მოახსენეს". ამგვარ „გამოძიების" შედეგი ის იყო, რომ „გლეხების წამქეზებელი ოთხი მეთაური დაიჭირეს და ციხეში ჩაჰყარეს".

მაგრამ ჭირვეულ და თვითნება ხასიათის მიუხედავად, თავ. ნ. ხოლოყაშვილს შესძლებია ხანდახან ზნეობით ამაღლება და სულიერ კეთილშობილობის გამომჟღავნება. იგი გადმოგვცემს თავის ცხოვრებიდან ერთად-ერთ ფაქტს, რომელიც ამის საბუთს გვაძლევს. როცა ბატონყმობის მოსპობა გამოცხადდა,—სწერს იგი,—„მეც ლიბერალობა გამოვიჩინე: ჩემს ყმებს სათითაოდ ადგილები მივუჩინე, „ვოლნი ღოსტებით" და „მეჟევოის პლანებით" მესაკუთრებად გავხადე. დღესაც ადვილად შეეტყობა იმ დროს ჩაყრილი ყორღნები იმ ადგილებში, რომელიც ჩემს გლეხებს საჩუქრად დავურიგეო".

ამ სახით, თავ. ხოლოყაშვილს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ერთი კეთილი საქმე მაინც მოუქმედებია: თავისი გლეხები გაუნთავისუფლებია და ნადელები უსასყიდლოდ მიუცია. მართალია, ეს დიდი საქვეყნო საქმე არაა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი შედარებით უნდა აიწონ-გაიზომოს და დაფასდეს. ვინ მოსთვლის, რამდენ ქართველ თავადს შთაუნთქავს აუარებელი ქონება ისე, რომ არც მამულსა და არც ხალხს ერთი კაპეიკითაც კი არ ჰრგებია.

გ.

---

*) ფურც." № 2634.

რუსეთის ქრონიკა

◆ მოსკოვის ხელოსანთა საზოგადოებამ მიმართა მთავრობას შუამდგომლობით, რათა ნებართვა მისცენ ხელოსანთა კრებების გასამართავად. ამ კრებათა მიზანია—კავშირი შექმნას ხელოსანთა შორის და საურთიერთო დახმარებას შეაჩვიოს. კავშირი ხელოსანთ თვალ-წინ წარმოუდგენს მათი მდგომარეობის მთელ სურათს, გამოარკვევს, ცხადად დაანახვებს, რა გაუმჯობესობა სჭირდება ხელოსანთა ყოფა-ცხოვრებას, დაარსდება ძირითადი თანხა წიგნთ-საცავ-სამკითხველოების გასამართავად, გაიხსნება საურთიერთო დახმარების კანტორები, რომელნიც უსაქმო ხელოსანთ სამუშაოს აღმოუჩენენ, და სხვ.

◆ „რუსკ. პრ." გადმოგვცემს, ხმებია, ამ მოკლე ხანში უნდა გადაათვალიერონ ცენზურისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონებიო.

◆ „პრიბ. კრაი"-ს სიტყვით, გოლდინგსკის მაზრაში კურსინტენსკის ვოლოსტში პასტორ შულცსა და მრევლს შორის შემდეგი შეტაკება მომხდარა: ახლად დანიშნულ პასტორს თავის მრევლის მიმართ ქადაგების წარმოთქმა მოუნდომებია. მრევლს წინააღმდეგობა გამოუცხადებია იმით, რომ საერთო საგალობელი დაუწყია. რამდენჯერაც არ ცდილა მღვდელი ქადაგებას, იმდენჯერ მრევლსაც გალობა დაუწყია და მღვდელსაც ხელი აუღია ქადაგებაზე. ამ ნაირად გლეხებს მღვდელი არ მიუღიათ თავის მრევლში.

◆ ამ დღეებში ფინლიანდიაში ადგილობრივ ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველომ მისცა ნება ისევ შემოიტანონ აქამდის აკრძალული სკანდინავიის 10 გაზეთი. ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ მხარისთვის ამ განკარგულებას, რადგან აქაური გაზეთები ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებლებს, რომლებისთვისაც საზღვარ-გარეთიდან მოსული გაზეთი აუცილებელი შეიქნა და მკითხველებისათვის დიდი დანაკლისი იყო ამ გაზეთების აკრძალვა.

◆ როსკიპ ქალთა საექიმო ზედამხედველობას ერთობ სამწუხარო შედეგი მოსდევს მოსკოვში. ამ უბედურთ სამარის კარამდე არ შეუძლიანთ დააღწიონ თავი სამარცხვინო, დამამცირებელ განკარგულებას. რაკი ერთხელ მიიღებს საროსკიპო ბილეთს ქალი, შემდეგ თუნდაც პატიოსანი ცხოვრება იწყოს, მოსამსახურედ დადგეს ან სხვა რამ საქმე იკისროს, ამ ზედამხედველობას მაინც ვეღარ გადარჩება. მოხუცებულებიც კი, 60 წლის ბებრებიც, რომლების ადგილი თავშესაფარშია, ისინიც კი ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ამ კანონს. სწორედ სასაცილოა შიში, რომ 60 წლის დალმენჩილ, დაძაბუნებული დედაბერი გაავრცელებს ხალხში ვენერიულ ავადმყოფობას.

◆ მოსკოვში არსებობს ქალთა საექიმო ინსტიტუტის მომწყობი კომიტეტი, რომელიც დიდი ხანია ზრუნავს ამ საქმის შესახებ. ამ კომიტეტს განუზრახავს მოაწყოს სამკურნალო ინსტიტუტის პირველი ორი კურსი ქალთა უმაღლეს კურსებთან; პირველი ორი კურსი თეორიული და საბუნების-მეტყველო ფაკულტეტთან ერთად მოეწყობა, რადგანაც ბევრი საგნები საერთო აქვთ. შემდეგი ოთხი კურსის მოსაწყობად კი კომიტეტს უთხოვია ქალაქისათვის დაუთმოს ქალების საექიმო ინსტიტუტს ეკატერინეს ძველი საავადმყოფო, სადაც მოაწყობენ კლინიკებს. საექიმო ინსტიტუტი ექვს კურსიანი იქნება—ორი თეორიული და ოთხი პრაქტიკული. 12 ოქტომბერს უნდა გადასწყვიტოს ქალაქის საბჭომ ეს საქმე. საექიმო ინსტიტუტსა და ქალთა უმაღლეს კურსებს მჭიდრო დამოკიდებულება ექნებათ. ესენი ერთად უნივერსიტეტად გადაიქცევიან, სამის ფაკულტეტით, (საექიმო, საფიზიკო-სამათემატიკო და საფილოლოგო). მაშინ შესაძლო გახდება ქ. ასტრაკოვისაგან ნაანდერძევი 100 ათასი მან. მიიღონ კურსებმა; ეს ფული ამდენ ხანს სამინისტროში ინახებოდა, რადგანაც ქალთა უნივერსიტეტისათვის იყო შემოწირული.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტთან გაიხსნა სტატისტიკური კურსები.

◆ წელს რუს-იაპონელთა ომის გამო გაუქმებულია ნობელის პრემია, მშვიდობიანობის იდეის გამავრცელებელთათვის დანიშნული.

◆ ჟურნალი „იურისტ"-ი იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო ვორონეჟის მაზრის სასოფლო-საჭიროებათა გამომრკვევ კომიტეტის წევრებს, მარტინოვსა და ბუნაკოვს, დაბრუნდნენ ვორონეჟში.

თეატრი

ქართულ წარმოდგენების საქმე, როგორც იქნა, საბოლოოდ გადაწყდა. თავად-აზნაურთა თეატრს სრულიად თავი მიანებეს და წარმოდგენები გაიმართება თითოჯერ, ოთხშაბათობით, სახაზინო თეატრში. კვირაობით კი იაფ-ფასიანი წარმოდგენები გაიმართება ან ზეტცელის თეატრში ან ტფილისის საკრებულოს დარბაზში. პირველი წარმოდგენა იქნება 13 ოქტომბერს გ. ერისთავის სახსოვრად. დასდგამენ „გაყრა"-ს (პირველი მოქ.), „ძუნწს" (პირვ. მ.), „დავა"-ს (მესამე და მეოთხე მოქ.) და სადღესასწაულო აპოთეოზს. არტისტები წაიკითხავენ ლექსებს, ხორო შეასრულებს სიმღერებს და სხვა.

—

კავკავი. 3 ოქტომბერს კავკავის ქართულ სკოლის დარბაზში ქართულ თეატრის პირველ მოთავის გიორგი ერისთავის გადაცვალებიდან 40 წ. შესრულების გამო, კავკავის ქართულ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „ძუნწი" და „უჩინ მაჩინის ქუდი" გ. ერისთავისა, აიხადა ფარდა და სცენაზედ გამოჩნდა გვირგვინით მორთული სურათი გ. ერისთავისა. ქართულ სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ლ. ბოცვაძემ გაცნო საზოგადოებას განსვენებულის ბიოგრაფია და ღვაწლი.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. მონაწილეობას იღებდნენ. ქ-ნნი ო. მოზდოკელიშვილი, ნ. ფიცხელაური, ნ. რთინაშვილი და ნ. ბიძიაშვილი; ბ-ნები ნ. ყაზბეგი, მ. სურამელი, გ. უტურაშვილი, კ. კახიანი, ვ. ფირაქიშვილი, ს. რამიშვილი, კ. თათარაშვილი, კ. ნათაძე. წარმოდგენამ მწყობრად და მოხდენილად ჩაიარა და საზოგადოება ძალიან ასიამოვნა. სამწუხაროდ, საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

ბ. ღ.

სხვა და სხვა ამბები

საიდუმლოს გამომჟღავნება. ნიუ-იორკში მალე საინტერესო საქმე გაირჩევა. ეს საქმე შეეხება კბილის ექიმის მიერ საიდუმლოს გამომჟღავნებას. კბილის ექიმი, რომელსაც მეტად დიდი პრაქტიკა ჰქონდა მაღალ საზოგადოების მანდილოსანთა შორის, ჩასასმელ კბილებს უფრო კარგად დასამზადებლად ფოტოგრაფიულ სურათებს იღებდა კბილებიბისას და პირისას. ამ სურათებზე, რა თქმა უნდა, ყოველივე ნაკლულევანი კბილებისა აშკარადა სჩანს. ეხლა ხსენებულ ექიმს განუზრახავს ამ სურათების, ვითომდა სამეცნიერო აზრით, გამოცემა ცალკე ალბომად. ყოველ სურათს პაციენტის გვარი და სახელი ექნება მოწერილი. ამ ამბის გაგებაზე მანდილოსნებმა ერთი ვაი-უშველებელი ასტეხეს და ეხლავე საჩივრები აღძრეს, აუკრძალეთ კბილის ექიმს ხსენებულ სურათების გამოცემაო.

* *

სიმდიდრე ზღვის ძირზე. ამ ორასის წლის წინად ვიგოს ბუხტაში დაიღუპა ესპანიის ცხრა გემი, ცხრავე ოქროთ დატვირთული. დაღუპულ გემებზე სულ 280 მილიონ მანეთის ოქრო იყო. გემები 15 საჟენის სიღრმეზე და დღემდე, ამ ორასის წლის განმავლობაში, კაცის ფეხი არ დადგმულა ამ გემებზე. მხოლოდ დღეს ვიღაც პინოს განუზრახავს ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდება. პინოს დიდი დაბრკოლება გადაელობა წინ. გარდა იმისა, რომ გემები ღრმა ადგილას არის ჩაძირული, გემებს ზევიდან ქვიშა აქვს წაყრილი. პინოს განსაკუთრებული პრიბორი მოუმზადებია. ეს პრიბორი უზარმაზარ მილსა ჰგავს. მილს უშვებენ წყალში, მერე მანქანით წყალს იღებენ, და კაცი ჩადის. ამ მილის მეოხებით, პინოს უპოვნია ის ადგილი, სადაც გემებია, და ერთი გემების ნაწილი დაუთვალიერებია კიდეც. პინოს სრული იმედი აქვს, რომ ოქროებს ამოიტანს ზევით.

* *

თავდადებული მამა. შემდეგი ამბავი მომხდარა ქალაქ იასსას მახლობლად, რუმინიაში. გლეხი ივანე დობოსარუ ურმით მიდიოდა თურმე. თან გლეხს ორი თავის პატარა ბავშვი მიჰყავდა. გზაში ძველი ურემი გატეხილა. სოფელი შორს იყო და ამიტომ შველა არავის შეეძლო. გლეხი იძულებული გახდა ღამე გარედ, ცის ქვეშ, დარჩენილიყო. ძალიან ციოდა და საშინელი ქარი უბერავდა. გაყინული ბავშვები ზედ ეკვროდნენ მამას გასათბობად. მამამ რომ ვეღარაფერი გააწყო, ზედა ტანისამოსი გაიხადა, იმაში გაახვია ბავშვები და თხრილში ჩაწვინა. რომ უფრო კარგა გაეთბო ბავშვები, თითონაც გვერდზე მოუწვა. მეორე დღეს მგზავრებს უნახავთ უსულო გვამი გლეხისა. საწყალი გაყინულა, მაგრამ ბავშვებს კი არ მოშორებია. ბავშვები ცოცხლები იყვნენ თურმე.

თუვანილი ჩვენს ავტორს. თ. ანდუყაფარ დებულიძე უძველესი წარმომადგენელია ამ გვა- ის ტიპებისა. ანდუყაფარი ძველი ცხოვრების ტრფიალეა, ძველებური ფეოდალი, რომელსაც, რასაკვირველია, მუშაობა არ შეუძლია, მისი საქმეა მხოლოდ დასტკბეს ყმების მუშაობით. რუსეთიდან დაბრუნებული ძმა ივანე უნდა გაეყაროს, და ჩვენი ანდუყაფარი ძალიან სწუხს, რომ კვლავ აღარ იქნება, მოისპობა ძველი პატრიარქალური ოჯახი: „ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო!" მოსთქვამს მწუხარედ: „შემდგომ გაყრისა ვის დავენახო! ახ ვეღარ დავცემ კარავსა მკაში, უნდა ვემალო მე მამითადში! სად ვნახავ სამასს ნამგლის იადს, ჭიჭმის გუგუნსა, ვანის შრიალსა! ათამშიერის ერთი კაჟანი თითქო არისო ხნის ჭიხვინი! მერეორეშვილი გაცოფე- რვა ჯამისაგან გამზადებული, ცეც- ვნას მოედებოდა, კაცი ურებით გაგო- სიძველის მოტრფიალე ანდუყაფარი ის ახლანდელს ძმობას, ნათესაობას და ობას. „გაზარდეთ შვილები რუსეთში, ა რასმე სწავლობენ." აღარც ძმის სიყვა- ლი, აღარც ნათესავისათ", სჩივის, მაგრამ მავე დროს თვითონ უგულისრად ცდილობს და ემზადობს, რომ ძმები მოატყუილოს და ჩამორჩეს მათ: გაყრის დროს რამდენიმე ათას მანეთს ვალს უსამართლოდ შეაწერს თავის ძმას ივანეს და ერთი უბრალო მუთაქისათვის უნდა დაჩხუბოს მეორე ძმა. ანდუყაფარის ძმა ივანე გადაგვარებულ ტიპს უახლოვდება, ცოტათი მოისულდებს; მიმინოსა, ძაღლების და ნადირობის მეტი არაფერი აინტერესებს. სახლში სულ მისი ერთნაირი ყვირილი გაისმის: „ბიჭო, შენ ეი, ფილიპე! სწრაფიას ფეხები დაუზილე. ვეჟო, ჯერანში საყელო რა უდო! ეგ რჯულ ძაღლი, აკი არ დაიჟენებს". უცნობს, ნაცნობს სადაც კი შეხვდება, პირველად იმას შეეხვეწება, ეგებ სადმე კარგი ძაღლი მიშოვნოო. ცოლი ქალის გათხოვებაზე ჰფიქრობს, ის კი სტუმარს ეკითხება: „ბიძის შენის მწევარი დამაზია? კურდღელს კარგად იჭერსო?" როდესაც გაყრის დროს მედიატორები განჩინებას ჰკითხულობენ, პავლე უცებ გარედ გავარდება მიმინოს დასაჭერად. თავის ძმას მაყრად წაჰყვება და ჯერ კიდევ მოყვრის სახლში არ შესულა, რომ იმას ეხვეწება, ეგებ რუსული მეძებარი მიშოვნოო.

ზევით უნდა მოგვეხსენიებია, რომ ანდუყაფარს ძლიერ ერიდებოდა და ეშინოდა ივანესი, რადგან რუსული ენა და კანონები იცოდა. ამ მხრივ უფრო დაშინებულია თ. ამირინდო დაზნელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყოველს მოხელეს საქმის გადაბრუნება უცბადაც შეუძლია და წადმაც, ამიტომ არც ქრთამების მიცემაა დასაძრახისიო. ამირინდოს შვილი უნივერსიტეტში ჰყავს, დღე დღეზე მოელის მის დაბრუნებას და ოცნებობს: მაშინ სასამართლოებს იმას მოვახვევ, მე დავსხდები და შევექცევი, არზასაც შვილი დამიწერსო. ამირინდოს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც რუსეთიდან დაბრუნებული შვილი არზის ქაღალდზე არზის მაგიერ რაღაც ლექსს დაუწერს. ამირინდომ კარგად იცის, რომ დღეს „კალამი ხმლად გარდაიქცა"; ერთს ასოს დაბდაჯვენ და დარჩი მშიერი!" „ჰეი, ჰეი! გაიძახის ამირინდო: ჩაიშალა ჩემი იმედი, ჩემი ნუგეშიო! ორი ათასი მეტი თუმანი გავაფუჭე, ნახეთ რა მომივიდაო!" რაზედაც მისი მეგობარი თ. იაია კვერს დაუკრავს: „ვაჰ, პეტერბურგში რომ არ წასულიყო, მესტვირობას აქაც ვასწავლიდითო!" ამირინდოს ეგონა, შვილი დაეხმარებოდა და საჩივარს მოაგებინებდა, რომელიც ატეხილი აქვს თავის მეზობელთან თ. ონოფრე ხარაძესთან—ერთი ადგილის შესახებ. რამდენიმე წელიწადია ეს საჩივარი აქვს ამირანდოს არავინ დარჩენია მოუქრთამავი, და მის მთელი ოჯახი ერთიან გადაყოლილა ამ საქმეს, მაგრამ მაინც არ იხევს უკან. „მამა ჩემი არ წამოწყდება, მეც დავიღუპები და იმასაც დავღუპავო!" როგორც ზევით ვსთქვით, ამირანდოს ესმოდა, რომ დროება გამოიცვალა, რომ კალამმა მეტი ძალა მოიპოვა, ვიდრე ხმალმა, მაგრამ იგი არ შეჰხაროდა ამ ცვლილებას, პირიქით ემდუროდა. სრულიად თანაუგრძნობდა იაიას და მასთან ერთად შესწუხდა, როდესაც უკანასკნელმა მოიგონა და აუწერა „დამახინჯებულის" ქალის ცხოვრება: „სადღა არის სალაყბო! წუხდა იაია: ვისაც ვკითხე, მასხარად ამიგდეს: სალაყბო რასა ჰქვიანო? ვერა გამიგიარა, თითქო ქართველები არ არიანო! ვითომ უმაწვილო კაცები იცნო თუ? ვინც ენახე, ნემცების მღვდელსა ჰგვანდენ: ასუსულნი, აწუწულნი, სასაცილოა, შენ ნუ მომიკვდები! ფერი ხომ აღარა აქვსთ, ღვინოს თურმე აღარა სმენ, მიდნა აღარ არისო; ასეთი ყვითლები არიან, როგორც წმინდა სანთელი!.. ეი, დროვ, ვაჰ დარბაისელთ მოწყვეტასა!" იაიას და მასთან მის მეგობარსაც ამირინდოს არ მოსწონდათ არც სმა ჭამა ახალი დროის, არც სახლები, არც ქუჩები, არც სკამები.

თუ ასე უყურებენ ცხოვრების ცვლილებას მამაკაცები, კიდევ უფრო ვერ შერიგებიან ახალ ცხოვრებას დედა-კაცები. ანახანუმიც ამირინდოსავით საყვედურს ამბობს სასიძოზე: ყმებს არ ყიდის, სასამართლოში არ გაეგზავნა, არზა ვერ დამიწერაო. „ვუთხარ, პრისტავთან დასწერე არზა, არ ჰმმართებსთქო, ჰქმენი ატკაზი! ამ ჩემ ჭკვიანურ რჩევა სიტყვაზედ უნდა გენახათ იმის სიბრაზე." ამაზედ ანახანუმის რძალი ნინო შენიშნავს: „ეტყობა ჭკუას ვერა სცნობს, იმიტომ ჯავრობს და ვითომ ხესტობსო". ანახანუმს არ მოსწონს პატიოსანი პოეტი („მესტვირე") სასიძო და უნდა ქალი ისეთს კაცს მიათხოვოს, რომელიც გავლენიანი და ხარისხიანი, შეძლებული კაცი იქნება, თუმცა უზნეო, მახინჯი და მოხუცი. ქალს მოეწონება, თუ არა, სულ ერთია: შეიძლება პირველად იჯავროს, მაგრამ მერე ადვილად შეურიგდება დედისაგან არჩეულ ბედს. ანახანუმს ავად უჩნდება ერთად ერთი ქალი, რომელიც შეყვარებულია პეკედარაზე, მაგრამ მაინც არ აქცევს ყურადღებას ქალის სიყვარულს, სხვაზე დასწერს ჯვარს და თავის მოკვლასაც აიძულებს. სიდონია ერთს ალიაქოთს ასტეხს, როცა მის ქალს სიყვარულის წერილი მოუვა საქმროსაგან. ძველი დედაკაცების შეხედულობას ქალის შესახებ მშვენივრად გვიხატავს ანახანუმის რძალი კეკელა: „მე არ მწამს რა ამ დროს ქალების, ტყუილათ სუსტთა და ფერმკრთალების. დედამთილს აღარ მორჩილდებიან, რა ქმარს შეირთვენ. სნეულდებიან. ჩვენცა ვყოფილვართ უმაწვილ ქალები, ჩვენცა გვქონია კარგი თვალები, მაგრამ ჩვენს გულსა არა ვკითხავდით, საქმროთ ვინ გვინდა, ვისთვის ვიხრამდით. გათხოვებასა მაშინა ვცდილობდით, როცა საყდარში ქმარს წავყვებოდით. ვისაც როგორსა ბედი მოგვცემდა, მასთვის ჩვენ მხოლოდ გული გვიცემდა".

ძველ ქალებში საყურადღებოა აგრეთვე თ. პავლე დიდებულიძის ცოლი მაკრინე, რომელსაც დიდი ადგილი არა აქვს დათმობილი პიესაში (გაყრაში), მაგრამ ის ცოცხლად არის დახატული, როგორც ტიპი ძმების წამკიდებელის ცოლისა. მაკრინეს ცხოვრებას გარდა პირად ანგარიშებისა არაფერი არ ამოძრავებს. მარტო იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი ქონება შესძინოს ოჯახს, რა საშუალებით და რა გზითაც უნდა იყოს. მოურიდებლად ატყუილებს სასამართლოს სეკრეტარს რამაზს, ჰპირდება ქალის მითხოვებას (რომლისთვის ნამდვილად გოგოსაც არ გაიმეტებს), რომ მედიატორედ აირჩიოს და გაყრის დროს თავის სასარგებლოდ ალაპარაკოს. როდესაც ძმები იყრებიან, მაკრინე გველივით უსისინებს თავის ქმარს, აი ეს არ დაანებო, აი ეს არ წააგართვანო, და ბოლოს ისე გაამწარებს ძმებს, რომ კინაღამ ერთმანეთს დასჩეხავენ.

კალამი.

(დასასრული იქნება)

ომის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
9 ოქტომბერი

მუკდენი, 8 ოქტომბერი. 28 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდის პირველ არმიის კორპუსის პოლკები თავგამოდებით იბრძოდნენ იანშუტინის სიმაღლეებზე და, თუმცა დიდი ზარალი ნახეს, ღირსეულად დაამთავრეს ბრძოლა. განსაკუთრებული სისხლის ღვრა მოხდა 3 ოქტომბერს, მდინარე შახეს ნაპირას, სოფელ სახოისნის ახლოს გორის აღების დროს. ამ ბრძოლის დროს ჩვენ წავართვით მტერს 14 ზარბაზანი, 40-მდე ყუმბარის ყუთი და მრავალი თოფი და სხვა მასალა.

ტოკიო, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). იაპონელთა მარცხენა ფრთე გადავიდა მდინარე შახეზე და რუსების მარჯვენა ფრთეს უპირებს შემოვლას. მეორე დიდი ბრძოლა, როგორც სჩანს, აუცილებელია. ეხლა იაპონელები წამოვლენ წინ. რუსებმა პუჩკენში საავადმყოფო გამართეს.

შადრინსკი, 9 ოქტომბერი. გლეხთა შორის იკრიბება შემოწირულებანი ფულითა და პურით წითელ ჯვრის სასარგებლოთ. ბევრმა სასოფლო საზოგადოებამ დაადგინა, თვითეულმა გლეხმა ამდენი და ამდენი უნდა შესწიროსო.

პეტროზავოდსკი, 8 ოქტომბერი. პეტროზავოდსკში კრებამ დაადგინა: მიიღოს სამკურნალოდ საერობო საავადმყოფოებში ოლონეცკის გუბერნიიდან ომში გაგზავნილი ხუთი ავადმყოფი და დაჭრილი სალდათი.

ტოკიო, 9 ოქტომბერი („რეიტერი“). სათადარიგო ჯარის მობილიზაცია ოიამას ჯარის გასაძლიერებლად დაბრკოლდა, რადგანაც ჯარში გაწვევის შესახებ ახალ წესდების შემოღების შემდეგ, 1898 წ. აპრილიდან, ბევრმა სათადარიგო ჯარის კაცმა გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და ეხლა ვერ უპოვიათ ისინი.

სეული, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). ახლახან დაბრუნდა გენზანში კორესპონდენტი, რომელმაც დაიარა უსურიის მხარე და მდინარე ტუმენთან მდებარე ადგილები. კორესპონდენტი ამბობს, რომ ტუმენის ნაპირებს არავითარ დამცველ სიმაგრეებს არ აშენებენ, მაგრამ ჩონოენთან და კიონსიონთან რუსები ხიდებს აკეთებენ.

შანჰაი, 8 ოქტომბერი („რეიტერი“). ტოკიოდან მოსულ უკანასკნელ ცნობებით, გენერალ-ლეიტენანტი სამეხიტა, ტოკიოს არტილერიის უფროსი, გაემართა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე, რათა დახმარება აღუწიოს პორტ-არტურთან საალყო არტილერიას. მე-8 დივიზიის ერთი ნაწილი, რომელიც დანიშნული იყო სახალინზე გასაგზავნად, გაიგზავნა პორტ-არტურში, დარჩენი ნაწილი ოსაკაში იმყოფება და ელის განკარგულებას.

ლონდონი, 9 ოქტომბერი („რეიტერი“). კუროკის არმიიდან 4 ოქტომბერს დეპეშით იუწყებიან: ეტყობა, კუროპატკინი ძლიერა ცდილობს, რომ მუკდენს წინ [illegible] შეინარჩუნოს; ჯარსაც იქ მოუყარა თავი და სამ რიგად სიმაგრეები ააშენა; პირველი მდ. შახეზეა აშენებული, მეორე ხუნხეზე და მესამე მუკდენს ახლოს. რუსები [illegible] მხნედ დასავლეთ ფრონტზე (რკინის გზის პირად) მოქმედობენ და მუდამ იაპონელების ჯარის წრის გარღვევას ცდილობენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
9 ოქტომბერი

პეტერბურგი, 8 ოქტომბერი. „კელნიშე ცეიტუნგ“-ში დაბეჭდილია ოფიციალური წერილი. წერილში ის აზრია გამოთქმული, რომ ევროპის დიპლომატია არ უნდა ჩაერიოს ომის საქმეში; კერძოდ გერმანიამ არ უნდა იკისროს შუამავალის როლიო. შემდეგ ნათქვამია, რომ განათლებული ხალხნი თავისუფლად ამოისუნთქავენ, როდესაც შესწყდება ომი, მაგრამ სახელმწიფო კაცი ყველაზე მაღლა თავის ქვეყნის მშვიდობიანობას აყენებსო. ამერიკასაც კი, რომელიც [illegible] იყო მოსურნე შუამდგომლობას, იმედი გაუცრუვდა. ჟორესის ცხარე მოწოდებას ყველა სიხარულით მიეგებება, მაგრამ ფრანგეთი არ ჩაერევა იქ, სადაც არა სთხოვენ. გერმანიას რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულობანი არ დაუდვია. არც ის ჩაერევა ამ ომის საქმეშიო.

ბრიუსელი, 8 ოქტომბერი. უნაყოფოდ [illegible] ბელგიის სინდიკატის დახმარებით იაპონიის სესხის აღების საქმე.

პეტერბურგი, 9 ოქტომბერი, გამოცხადდა მობილიზაცია შემდეგ გუბერნიების მაზრებში: ვარშავისა, პლოცკისა, პეტროკოვისა, ელეტკისა, სუვალკისა, ვიტებსკისა, კოვნისა, მოგილევისა, კიევისა, ვოლინისა, პოდოლისა, ჩერნიგოვისა, ხარკოვისა, კურსკისა, მოსკოვისა, ვლადიმირისა, სმოლენსკისა, ტამბოვისა, იაროსლავისა, ვოლოგდისა და ბესარაბიისაში. მობილიზაციის პირველ დღედ უმაღლესად ნაბრძანებია 10 ოქტომბერი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ.-ად. კუროპატკინისა, 8 ოქტომბერს გამოგზავნილი: „7 ოქტომბერს დილამების ხანს იაპონელებმა სოფ. სახეპუ შეიტოვეს. 7 ოქტომბერს ღამემ წყნარად გაიარა“.

გენ.-ლეიტ. სახაროვის დეპეშა მთავარშტაბს: „8 ოქტომბერს მანჯურიის პირველ არმიის იაპონელებთან შეტაკება არ ჰქონია. იაპონელები სახეპუდან 7 ოქტომბერს გაჩქარებით როდის წასულან. სახეპუში იარაღი, პატრონები და სურსათი ვიპოვეთ. ჩვენის არტილერიის ნადგომ პოზიციაზე იაპონელებს ერთი ჩვენგან წართმეული ზარბაზანი, და ინსტრუმენტის პოვოზკა დაეტოვებინათ. 3 ოქტომბერს ბრძოლის შემდეგ ჩვენ სულ 9 საველე და 5 სამთო ზარბაზანი ჩავიგდეთ ხელში და ერთი ჩვენი დავიბრუნეთ.

პეტერბურგი. 9 ოქტომბერს გამოცხადდა, რომ ჯარის მობილიზაცია უნდა მოხდეს მოსკოვის გუბერნიის ვოლოკალამსკისა, დმიტროვსკისა, ზვენიგოროდსკისა, კლინისა, მოჟაისკისა, პოდოლსკისა და რუზის მაზრებში, ვლადიმირის გუბერნიის ვიაზნიკოვისა, გოროხოვეცისა, კოვროვისა, მელინკოვისა, მურომისა, პერეიასლავისა, სუდოგდისა, სუზდალისა, შუისკისა, და იურიევის მაზრებში, ტვერის გუბერნიის ტვერისა, ვესიეგონისა, ზუბცოვისა, კალიაზინისა, კარჩევისა, ნოვოტორჟსისა, ასტაშკოვისა, რჟევისა და სტარიცკის მაზრებში, სმოლენსკის გუბერნიის ბელსკისა, ვიაზმისა, გჟატსკისა, დოროგობუჟისა, დუხოვშჩინისა, როსლავლისა, იუხნოვისა, პორეჩისა და კრასნის მაზრებში, ტამბოვის გუბერნიის ბორისოგლებსკისა, ელატომსკისა, ლებედიანისა, ლიპეცკისა და უსმანის მაზრებში, იაროსლავის გუბერნიის იაროსლავისა, დანილოვისა, ლიუბიმისა, მოლოგისა, მოშკინისა, პოშეხონისა, რომანოვობორისოგლებსკისა, დობროვსკისა, რიბინსკისა და უგლიჩის მაზრებში, ვოლოგდის გუბერნიის ვოლოგდისა, გრიაზოვეცისა და კადნიკოვის მაზრებში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელმწიფე იმპერატორს გენ. კუროპატკინის დეპეშა მოახსენა. ერობის საექიმო და სასანიტარო რაზმების თავდადებულ მოქმედებაზე მანჯურიის არმიაში. მინისტრმა შეატყობინა გუბერნატორებს, წინააღმდეგი არა ვარ, რომ ერობათ დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებს დახმარება აღმოუჩინონ, საექიმო და სასანიტარო რაზმების მოქმედება გააძლიერონ და ახლები დაარსონ.

ლონდონი. ცნობილი საზღვაო სპეციალისტ ჯეინი სწერს „დეილი კრონიკლ“-ში: ადმირალ ვირენის მოქმედებას დიდი გავლენა ექნება მომავალ ისტორიაზე. ადმირალ ტოგოს მთელი ფლოტი დასჭირდება ადმირალ როჟდესტვენსკის ესკადრასთან საბრძოლველად; როცა ტოგო პორტ-არტურს მოშორდება, ადმირალი ვირენი ზღვაში გამოვა და იაპონიიდან მანჯურიაში გემებს აღარ გამოუშვებს და პორტ-არტურს სურსათს მიაწვდის. იაპონელებმა პორტ-არტური მალე უნდა აიღონ, თორემ ადმირალი როჟდესტვენსკი სამ თვეზე მივა შორეულ აღმოსავლეთს. ადმირალი ვირენი ზღვაში გავა და იაპონიის გემებს იმდენად დააზიანებს, რომ ადმირალი ტოგო ბალტიის ესკადრასთან ბრძოლას ვეღარ შესძლებს. ამიტომ იაპონელებმა ერთ თვეში უნდა აიღონ პორტ-არტური, და ადმირალ ვირენის ესკადრა გაანადგურონ, რომ ბრძოლის დროს დაზიანებულ გემების შეკეთება მოასწრონ. უნდა ვსთქვათ, რომ შეიძლება მომავალში ბევრი მოულოდნელი ამბავი მოხდეს. თუ ვინცობაა ადმირალი ტოგო პორტ-არტურს მოშორდება, ადმირალ ვირენს შეუძლიან მთელის წლის სამყოფი სურსათი მიაწოდოს პორტ-არტურს.

სეული. 7 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება: სწორედ არ იციან, რამდენი ჯარი ჰყავთ რუსებს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაში, რადგან პატარ-პატარა რაზმები მალ-მალ გადადიან აქეთ-იქით. ჰფიქრობენ, რომ სენშანში 300 რუსი იქნება, სენიუტინში 500, ხენჩინში 150, ხენუენში 300 და პუკშენში 400.

სეული, 7 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ს აუწყებენ 7 ოქტომბერს რუსები პოსიეტის ყურეს ახლოს თავის ჯარს აძლიერებენ. ამ ჯარს შეადგენენ: მსროლელები, საპიორები, ქვეითა ჯარი და კავალერია. პუკჩენსა და საზღვარ შორის ტელეგრაფია გაყვანილი. სენიუენში საჩქაროდ აშენებენ საზამთრო სადგომებს. სეულ-ფუზანის რკინის გზის ჩრდილოეთ ნაწილზე უკვე 115 მილი რელსია დაგებული. სამხრეთის ნაწილზე დაგებულია 104 მილი. დარჩა კიდევ 40 მილი. იმედი აქვთ, რომ რკინის გზის ამ ნაწილს მიმდინარე თვეში დაასრულებენ. მთელი რკინის გზა ნოემბრის დამდეგს იქნება მზად.

კობე, 8 ოქტომბერი. „დეილი ქრონიკლ“-ს აუწყებენ, შახედან წაყვანილი რუსის ტყვეები გუშინ მოძის მოვიდნენ.

ჩიფუ, 8 ოქტომბერი. „დეილი მეილ“-ს აუწყებენ, რუსებმა დასტოვეს სიმაგრეები დავუშანსა და პალიშუნს შუა, რომლებიც სანგრებით არიან შეერთებული. გზაში, რომელიც პალიშუანიდან ვაკესაკენ მიდის ნაღმები ჩაწყობილი და მტრის დასაბრკოლებლად მავთულებია გაყვანილი. დავუშანისა და შახუშანის სიმაგრეებზე 84 ზარბაზანია. 10 თერთმეტ-დიუიმიანი ზარბაზანი მგლისა და მწვანე გორებზეა დადგმული. შახუშანის სამხრეთით სანგრებია გამართული ფენტაოსა და ლიაოლიცუს სიმაგრეებამდის. იაპონელებმა მძლავრად დაუშინეს ზარბაზნები, მაგრამ საეჭვოა იაპონელებმა ისე დააზარალონ რუსები, რომ მომავალი მათი საერთო იერიში კარგად დასრულდეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
8 ოქტომბერი

ტიანძინი, 7 ოქტომბერი („რეიტერი“). რადგან ლხასაში გაიგზავნა განსაკუთრებული დესპანი ტოგ ხაონძი, ჩინეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, შეუდგნენ ტელეგრაფის გამართვას სიჩუანიდან ტიბეტამდე.

ძიმპო (ტიბეტი), 7 ოქტომბერი („რეიტერი“). მოვიდა აქ ინგლისის მთელი ექსპედიცია, რომელმაც ძნელი და გძელი გზა გაიარა. გზაში თოვლი იყო, ბევრ სალდათს თვალები გაუფუჭდა თოვლისაგან.

ლონდონი. ახლად გამოცემულის ბძანებით ქვეითა ჯარის კაცთ ათი წელიწადს უნდა იმსახურონ. სათადარიგო ჯარის კაცებად-კი სამის წლის ვადით ჩაირიცხებიან. „ტაიმს“-ი მოწინავე წერილში ითხოვს დაუყოვნებლივ დამტკიცებულ იქნას ინგლის ტიბეტის ხელ-შეკრულობა. „ტაიმს“-ის აზრით, მთავრობამ, უეჭველია, გადასწყვიტა შესცვალოს საიჯაროდ შედგენილი ხელშეკრულობის რამდენიმე მუხლი იმ დაპირების თანახმად, რომელიც სიამოვნებით მისცა ინგლისმა რუსეთს, მეტი—რომელსაც ყველა სახელმწიფოთა შორის ამ საქმეში ინტერესი აქვს.

9 ოქტომბერი

დონის როსტოვი, 9 ოქტომბერს რადგან გამოცხადებული იყო, რომ დონის ოლქში ხოლერა გაჩნდა, ხალხის ჯანმრთელობისათვის მზრუნავი ადგილობრივი კომიტეტი შუამდგომლობს, მიეცეს საერობო თანხიდან 65 ათასი მანეთი ხოლერასთან საბრძოლველად.

სტამბოლი, 8 ოქტომბერი. უცხო სახელმწიფოთა ელჩების წინადადებით პორტა მოიწვევს საერთაშორისო კომისიას, რომელმაც უნდა განიხილოს და გააუმჯობესოს სასანიტარო წესები, აგრეთვე უნდა გამოარკვიოს საზოგადო საკითხები საერთაშორისო სასანიტარო დადგენილებათა შესახებ.

პეტროზავოდსკი, 8 ოქტომბერი. კრებამ მაინდო საერობო გამგეობას იშუამდგომლოს საერო განათლების სამინისტროში, რათა შემუშავებულ იქნას მოძრავ სკოლების პროგრამმა და ნებართვა მისცენ ერობებს ამგვარ სკოლების გასახსნელად.

ვაშინგტონი, 8 ოქტომბერი („რეიტერი“). ამ დღეებში რუზველტი ოფიციალურად მოიწვევს სახელმწიფოებს, რათა დანიშნონ დელეგატები ჰააგაში მეორე სამშვიდობო კონფერენციისათვის და გადასწყვიტონ, როდის უნდა მოხდეს კონფერენცია. ჰეიმ დღეს წარუდგინა კაბინეტს სახელმწიფოთა მოწვევის პროექტი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ბულები

შერეული სინმენტიკის ჯიშისა ერთი 7 თვისა და მეორე 1 წლისა იყიდება. ნიკოლოზის ქუჩა, № 126. (2—345—1)

ვოკზლის პირდაპირ, სახლი მელიქ-კარაგეზოვისა,
ახლად გახსნილ რძის მაღაზიაში „ჰიგიენა“
იყიდება ხელმისაწვდენ ფასად ახალი საქონელი. მსურველს შეგვიძლიან შინ გავუგზავნოთ რძე, თუ დღეში ორ ჰქაზე ნაკლებს არ დაიკვეთს. (3—340—3)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკე
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემო
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუ
ტიკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგ
ბის ტელეფონი № 679. (0—172)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. მსურველთ წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება დასურათებული ღია ბარათები ჩვენ მწერალთა და მსახიობთა. ფასი თითო 5 კ.
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—39). წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგივრად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხის გაცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ..

საზოგადოების გამგეობა იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—51)

[illegible] მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში ხნიერ
ამხანაგობას
რუსეთ-ამე
რეზინის საქ
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშებ
ყიდვის დროს ხშირ
ყურადღება მიაქციო
ლოშის ძირზე ნიშან
განსაკუთრებით ამხანაგო
ბის დაარსების წლითაც
„1860“ და ს
„С.-Петербур
წითელ სამკუთხში (
ბრიკის ნიშანი)
ნარდთ ვაჭრობაში
აწარმოვებს ხელო
მრთ ხელე

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
ს.-პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტში. და ტფილისს
(30—56)

Дозволено цензурою, 9 октября 1904 г. სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—სა“. Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.